

ელგუჯა პონჯარია

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ინვესტიციების ეკონომიკური არსი, მნიშვნელობა და სახელმწიფო

ფინანსურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოში არსებული ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ინვესტიციური საქმიანობის ხელშეწყობა და მისი განხორციელება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. უკანასკნელ ათწლეულში ქვეყანაში არსებულმა უმძიმესმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ აუცილებელი გახდა პრიორიტეტული და აქტუალური დარგების ხელშეწყობა და შემდგომი განვითარება, რომელთაც უდიდესი როლი ენიჭება ქვეყნის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანასა და ეკონომიკის განვითარებას. ამისათვის, ერთ-ერთ ასეთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნეულია ქვეყანაში ინვესტიციების ხელშეწყობა, მისთვის საჭირო და აუცილებელი გარემოს შექმნა. ინვესტიციების დადებით შედეგებს შორის აღსანიშნავია: საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაცია. მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროში უცხოური გამოცდილების გაზიარება, საქართველო პოტენციალის და ქვეყნის სავალუტო შემოსავლების ზრდა, საგაჭრო და საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, დასაქმებისა და შემოსავლების ზრდა.

საქართველო მსოფლიო თანამეგობრობაში მყარად დაიმკიდრებს ადგილს მაშინ, როცა ეკონომიკა ფართოდ ჩაერთვება შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში. მსხვილი კაპიტალდაბანდებების გარეშე ეროვნული ეკონომიკის შექმნა, აღორძინება და განვითარება შეუძლებელია.

ტერმინი “ინვესტიცია” წარმოიშვა ლათინური სიტყვიდან (investire შემოსვლა, ჩაცმა). ცენტრალიზებული, გეგმიანი ეკონომიკის პირობებში იყენებდნენ ტერმინს “კაპიტალური დაბანდებები”, ე.ი. დანახარჯები ძირითადი ფონდების კვლავზარმოებასა, გადიდებასა და სრულყოფაზე. ინვესტიციების ცნების ქვეშ იგულისხმებოდა კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში. ე.ი ინვესტიციები გაიგივებული იყო კაპიტალურ დაბანდებებთან. ტერმინი “ინვესტიციებს” მრავალი მნიშვნელობა აქვს. იგი აღნიშნავს აქციების ან ობლიგაციების შეძენას რაიმე ფინანსური შედეგის მიღების იმედით. ამავე ტერმინით აღნიშნავენ რეალურ აქტივებსაც.

ინვესტიციები საქმარისად მნიშვნელოვან და არსებით ნიშანთვისებებს წარმოადგენენ:

- ინვესტორების მიერ დაბანდების განხორციელება, რომელსაც აქვთ საკუთარი მიზნები, რაც ყოველთვის არ ემთხვევა საერთო ეკონომიკურ სარგებლიანობას;
- ინვესტიციებს აქვთ შემოსავლის მოტანის პოტენციური შესაძლებლობა;
- კაპიტალის დაბანდების რისკი;

- სხვადასხვა ინვესტიციური რესურსების გამოყენება რომლებიც ინვესტირების განხორციელების პროცესში ხასიათდება მოთხოვნით, მიწოდებით და ფასით.
- ობიექტებსა და ინვესტირების ინსტრუმენტებში კაპიტალის დაბანდების მიზანმიმართული ხასიათი;

– საშუალებების დაბანდების განსაზღვრული ვადა.

ინვესტირებისათვის განკუთვნილ საშუალებებში უმეტესი წილი ფულადი საშუალებების სახითაა წარმოდგენილი. გარდა ამისა, ინვესტიციები შეიძლება განხორციელდეს ნატურალურ-ნივთობრივი (მანქანები, მოწყობილობები, აქციები, ლიცენზიები, ნებისმიერი სხვა ქონება და ქონებრივი უფლებები, ინტელექტუალური ფასეულობანი) და შერეული ფორმებით.

ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ასრულებს მთელ რიგ მნიშვნელოვან ფუნქციებს. რომელთა გარეშეც შეუძლებელია ეკონომიკის განვითარება. ისინი წინასწარ განსაზღვრავენ ქვეყნის ეკონომიკის ზრდას, ამაღლებენ მის საწარმოო პოტენციალს.

მაკროდონებზე ინვესტიციები წარმოადგენს გაფართოებული კვლავწარმოების პოლიტიკის განხორციელების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაქარების, სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისა და ხარისხის გაუმჯობესების, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნისა და ყველა დარგის შეწონასწორებული განვითარების, მრეწველობის აუცილებელი სანედლეულო ბაზის შექმნის, სოციალურ სფეროს განვითარების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და მისი უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრის, უმუშევრობის პრობლემების დაძლევის, გარემოს დაცვისა და ა.შ საფუძველს.

ინვესტიციები განსაკუთრებულ როლს თამაშობს მიკროდონებზე. იგი აუცილებელია საწარმოთა ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მეურნე სუბიექტის სტაბილური ფინანსური მდგომარეობისა და მაქსიმალური მოგების მისაღებად. ინვესტიციების გარეშე შეუძლებელია გამოსაშვები საქონლისა და გაწეული მომსახურების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, ძირითადი ფონდების მორალური და ფიზიკური ცვეთის უარყოფითი შედეგების დაძლევა, ფასიანი ქაღალდების შეძენა და სხვა საწარმოების აქტივებში საშუალებების დაბანდება და ა.შ

ინვესტიციური საქმიანობის განხორციელებისათვის როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე, აუცილებელია დეტალური იქნეს წარმოდგენილი ინვესტიციები სახეებისა და ტიპების მიხედვით. ინვესტიციის კლასიფიკაცია წარმოებს სხვადასხვა ნიშნით.

კაპიტალის დაბანდების ობიექტებისაგან დამოკიდებულების მიხედვით, გამოიყოფა რეალური და ფინანსური ინვესტიციები. რეალური ინვესტიციები, ე.ო. კაპიტალის დაბანდება აქტივების შესაქმნელად, დაკავშირებულია ბიზნეს სუბიექტის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტასთან. ინვესტორი, რომელიც ახორციელებს რეალურ ინვესტიციებს, ზრდის თავის საწარმოო პოტენციალს- ძირითად საწარმოო ფინდებს და მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო საბრუნავ საშუალებებს.

ფინანსური ინვესტიციების განხორციელებისას, რომელიც წარმოადგენს კაპიტალის დაბანდებას სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში, უპირველესად ფასიან ქაღალდებში, აგრეთვე სხვა საწარმოთა აქტივებში, ინვესტორი ზრდის თავის ფინანსურ კაპიტალს დივიდენდებისა და სხვა შემოსავლების მიღების გზით. ფინანსურ ინვესტიციებს გააჩნია ან სპეციალაციური

სასიათი, ან ორიენტირებულია გრძელვადიან დაბანდებებზე. სპეციალაციური ფინანსური ინვესტიციების მიზანია ინვესტიციების შემოსავლის მიღება დროის კონკრეტულ პერიოდში. გრძელვადიანი ფინანსური ინვესტიციები გულისხმობს ინვესტორების სტრატეგიული მიზნის განხორციელებას და დაკავშირებულია მართვაში იმ საწარმოს მონაწილეობასთან, რომელშიც კაპიტალია დაბანდებული.

ინვესტიციურ პროცესებში ინვესტორის მონაწილეობის ხასიათის მიხედვით, ინვესტიციები იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ ინვესტიციებად. პირდაპირ ინვესტიციებად თვლიან ინვესტორის უშუალო მონაწილეობას ობიექტებისა და ინვესტირების ინსტუმენტების, ასევე კაპიტალის დაბანდების შერჩევაში. არაპირდაპირ ინვესტიციებად მიიჩნევენ ინვესტირებას სხვა პირების მეშვეობით. ე.ი ინვესტიციური ან ფინანსური შუამავლების დახმარებით.

საკუთრების ფორმის მიხედვით ინვესტიციები იყოფიან კერძო, სახელმწიფო, უცხოურ და ერთობლივ ინვესტიციებად, კერძო ინვესტიციები წარმოადგენენ ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ კაპიტალის დაბანდებას საკუთრების არასახელმწიფოებრივი ფორმებით. სახელმწიფო ინვესტიციებს მიეკუთვნება კაპიტალის დაბანდება, რომელიც ხორციელდება ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების მიერ ბიუჯეტების, არასაბიუჯეტო ფონდებისა და ნასესხები საშუალებების ხარჯზე. უცხოური ინვესტიციებია არარეზიდუნტების (როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირები) მიერ კაპიტალის დაბანდება სხვა სახელმწიფო ობიექტებში და ფინანსურ ინსტრუმენტებში. ერთობლივი ინვესტიციები ხორციელდება ქვეყნის სუბიექტებისა და უცხოური სახელმწიფოების მიერ ერთობლივად.

თავის მხრივ, უცხოური ინვესტიციები იყოფა პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციებად. პირდაპირ ინვესტიციებს მიეკუთვნება კაპიტალის დაბანდებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტორის კონტროლ საზღვარგარეთის ქვეყნების საწარმოებზე (კომპანიებზე). ისინი იძლევიან მართვაში საწარმოთა მონაწილეობის უფლებას. პრაქტიკაში გამოიყენება პირდაპირი ინვესტიციების სხვადასხვა განმარტება საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) განმარტებით, ინვესტიციები ითვლება პირდაპირად, თუ უცხოელ ინვესტორს აქვს საწარმოს აქციების 25 %ზე მეტი, ამერიკის შეერთებული შტატების სტატისტიკის მიხედვით, საჭიროა სააქციო კაპიტალის არანაკლებ-10%, პორტფელური ინვესტიციებია კაპიტალის დაბანდება საზღვარგარეთული საწარმოების აქციებში(საკონტროლო პაკეტის შემცირება), ობლიგაციებში უცხოური სახელმწიფოების სხვა ფასიან ქაღალდებში, საერთაშორისო სავალუტო, საკრედიტო ორგანიზაციებში. ევრო ობლიგაციებში, კაპიტალზე გადიდებული შემოსავლის მიღების მიზნით საგადასახადო შედაგათების, სავალუტო კურსის ცვლილებებისა და სხვათა ხარჯზე. ისინი არ იძლევიან მართვაში საწარმოთა მონაწილეობის უფლებას.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ობიექტური აუცილებლობითაა განპირობებული. მოგველებული ტექნოლოგიების პირობებში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება შეუძლებელია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მირითადად წარმოადგენს ტრანსნაციონალური კორპორაციების, აგრეთვე კერძო საერთაშორისო ბანკების ფინანსურ კაპიტალს. ხოლო უცხოური დახმარება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის (გაერო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროკავშირი და სხვა) და უცხო ქვეყნების ფინანსურ რესურსებს აერთიანებს.

ტრანსნაციონალური კორპორაციები ცდიილობენ აითვისონ ისეთი აქტივები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათი გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების მიღწევასა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას. ამ ტიპის ინვესტორებს, პირობითად, შეიძლება სტრატეგიული აქტივების მაძიელბლები ვუწოდოთ. აღსანიშნავია, რომ საქართველოში უცხოური ინვესტორების უდიდესი ნაწილი სწორედ ინვესტორთა აღნიშნულ ჯგუფს ეკუთვნის. მათ შემოსავალს ძირითადად ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა უწყობს ხელს. საქართველო უძველესი “აბრე-შუმის გზის” ერთ-ერთი საკანონო პუნქტია. მსოფლიო ბაზრების დამაკავშირებელი საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო, მილსადგნის მარშრუტი საქართველოში წარმოებული ბიზნესისათვის სატრანსპორტო ხარჯების შემცირებისა და ფართო საერთაშორისო კავშირების განვითარების წინაპირობაა.

პირდაპირ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წამახალისებელი პოლიტიკაა:

- საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო გამარტივებული რეგულაციები;
- ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმი;
- საკანონმდებლო ბაზა (კანონი “ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ”, კანონი” თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ”);
- თავისუფალი ინდუსტრიული ზონა-უპირატესობები ინვესტორთათვის;
- განსაკუთრებით ლიბერალური საგადასახადო რეჟიმი;
- გამარტივებული პროცედურები.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში თვალსაჩინოდ ახდენენ იმ ჭეშმარიტების დემონსტრირებას, რომ გადამწყვეტია არა იმდენად იმპორტირებული კაპიტალის მოცულობა, რამდენადაც მისი სტრუქტურა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება სექტორებისა და დარგების მიხედვით.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ პოტენციური დონორი ქვეყნების მოქებნას, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას უზრუნველყოფს შესაბამისი ინვესტიციებით. ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია პირდაპირი ინვერსიტების მსოფლიო ბაზრის შესწავლით. ამრიგად, ამოცანა ის არის, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში მოიბმოს პოტენციური ინვესტორი და შემდგომ მოხდეს ინვესტიციების განთავსება იმ დარგებში, სადაც საქართველო სარგებლობს გარდაუვალი უპირატესობით. ამიტომ, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს საქართველოსათვის, როგორც მიმღები ქვეყნისათვის საინტერესო დარგი, ხოლო მოინახოს ის დონორი ქვეყანა, რომელიც უზრუნველყოფს ამ დარგს შესაბამისი ინვესტიციებით. ასევე, უნდა დადგინდეს არჩეული კომპანიების სტრატეგიული მიზნები, ფინანსური შესაძლებლობები და შემუშავდეს საქართველოს რეგიონებისათვის შესაბამისი საინვესტიციო პროექტი.

ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც ახორციელებს უცხოური კაპიტალის იმპორტს, უნდა განტვრიტოს გლობალური ინვესტორების ეროვნულ წარმოებაში ინტეგრირებისა და ადგილობრივ მწარმოებლებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა და სურვილი. მსგავსი პარტნიორობა უზრუნველყოფს ადგილობრივი წარმოების ეკონომიკური ზრდის ახალ იმპულსებს.